

International bilingual journal in
Humanities & social Sciences

Millennium

მილენიუმი

Academy for Digital
Humanities - Georgia

Vol.2
2024

The Peer-reviewed Bilingual Scientific Online Journal of the Academy for Digital Humanities

in Humanities and Social Science

დიגיტალური ჰუმანიტარის აკადემია - საქართველოს

ორენოვანი საერთაშორისო ახალგაზრდული სამეცნიერო რეფერირებადი ონლაინჟურნალი

მილენიუმი

Millennium

Volume 2

Tbilisi / თბილისი

2024

The peer-reviewed bilingual scientific online journal **Millennium** was initiated by the founders of the Academy for Digital Humanities and is designed for young researchers working in Humanities and Social Sciences – master students, doctoral students and postdocs. Millennium aims to promote the academic development of a new generation of scientists by creating an academic platform for young researchers working in the Humanities and Social Sciences to publish scientific papers.

დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგუური სამეცნიერო ჟურნალი „მილენიუმი“ დაარსდა დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის დამფუძნებელთა მიერ და განკუთვნილია ჰუმანიტარიისა და სოციალურ მეცნიერებებში მოღვაწე ახალგაზრდა მკვლევართათვის - მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტებისათვის. ჟურნალი „მილენიუმი“ მიზნად ისახავს მეცნიერთა ახალი თაობის აკადემიური განვითარების ხელშეწყობას - ჰუმანიტარულ დარგებსა და სოციალურ მეცნიერებებში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის აკადემიური პლატფორმის შექმნას სამეცნიერო ნაშრომების გამოსაქვეყნებლად.

Scientific Council:

Chairman of the Scientific Council: Manana Tandashvili (Germany)

Members of the Scientific Council: Jost Gippert (Germany), Gerd Carling (Germany), Iryna Gurevych (Germany), Sergey Kim (Switzerland), Emzar Jgerenaia (Georgia), Vakhtang Litcheli (Georgia), Nana Loladze (Georgia), Rati Skhirtladze (Georgia)

Secretary of the Scientific Council: Sarah Dopierala (USA)

სამეცნიერო საბჭო:

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: მანანა თანდაშვილი (გერმანია)

სამეცნიერო საბჭოს წევრები: იოსტ გიპერტი (გერმანია), გერდ კარლინგი (გერმანია), ირინა გურევიჩი (გერმანია), სერჯეი კიმი (შვეიცარია), ემზარ ჯგერენაია (საქართველო), ვახტანგ ლიჩელი (საქართველო), ნანა ლოლაძე (საქართველო), რატი სხირტლაძე (საქართველო).

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: სარა დოპიერალა (აშშ)

Editorial Board:

Mariam Kamarauli (Editor-in-Chief), Eka Kvirkvelia (Editor), Mzia Khakhutaishvili, Maia Kuktchishvili, Ketevan Datukishvili, Mariam Rukhadze, Giorgi Jgharkava (Executive Secretary), Mariam Gobianidze, Zviad Zalikian.

სარედაქციო საბჭო:

სარედაქციო საბჭო: მარიამ ყამარაული (მთავარი რედაქტორი), ეკა კვირკველია (რედაქტორი), მზია ხახუტაიშვილი, მაია ქუჭიშვილი, ქეთევან დათუკიშვილი, მარიამ რუხაძე, გიორგი ჯღარკავა (აღმასრულებელი მდივანი), მარიამ გობიანიძე, ზვიად ზალიკიანი.



დიგიტალური
ჰუმანიტარიის
აკადემია

© Academy for Digital Humanities - Georgia
© დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემია - საქართველო

ISSN 2960-9887 (Online)

Content / სარჩევი:

I. Digital Kartvelology / დიგიტალური ქართველოლოგია

Giorgi Jgharkava, *Digital Processing of Proverbs in Kartvelian Languages – Theoretical and Technological Framework* 5

გიორგი ჯღარკავა, ქართველურ ენათა ანდაზების კვლევა ციფრულ ეპოქაში – თეორიული და ტექნოლოგიური ჩარჩო

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7991>

Mariam Kamarauli, *Digital Methods of Comparative Manuscript Research: The Martyrdom of St. Febronia* 44

მარიამ ყამარაული, ხელნაწერთა შედარებითი კვლევის დიგიტალური მეთოდები: წმ. ფებრონიას წამება

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7992>

David Maisuradze, *Georgian Paleographic Fonts and their Role in Scientific Studies* 66

დავით მაისურაძე, ქართული კალიგრაფიული შრიფტები და მათი მნიშვნელობა სამეცნიერო კვლევებისათვის

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7993>

II. Corpus Linguistics / კორპუსლინგვისტიკა

Mariam Gobianidze, *The Issue of Equivalence of Aphorisms in the English Translations of Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin" (based on one aphorism)* 84

მარიამ გობიანიძე, აფორიზმის ეკვივალენტობის საკითხი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში (ერთი აფორიზმის მაგალითზე)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7994>

Julian Hasche, *Corpus-linguistic Analysis of Verba Sentiendi in „Vepxistqaosani“ in Georgian and Basque* 102

იულიან ჰაშე, გრძნობა-აღქმის ზმნების კორპუსლინგვისტური ანალიზი „ვეფხისტყაოსნის“ დედანსა და პოემის ბასკურ თარგმანში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7997>

Mariam Rukhadze, *Semantical Analyses of Deverbal Functional Elements from a Corpus-linguistic Point of View* 119

მარიამ რუხაძე, ნაზმნარი ფუნქციური ელემენტების სემანტიკური ანალიზი კორპუსლინგვისტურ ჭრილში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7999>

III. Language Technologies / ენის ტექნოლოგიები

Marc-Daniel Rahn, *Can Counting Words make Sense? A Simple Application of Visual Tools for Basic Machine Learning in Linguistics* 138

მარკ-დანიელ რანი, აქვს თუ არა სიტყვების დათვლას აზრი? ვიზუალური ხელსაწყოების მარტივი გამოყენება საბაზისო მანქანური სწავლებისათვის ლინგვისტიკაში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8000>

IV. Political Linguistics / პოლიტიკური ლინგვისტიკა

Tatia Tstetskhladze, Anastasia Kamarauli, *Contemporary Georgian Political Speech from Gender and Party Perspectives* 160

თათია ცეცხლაძე, ანასტასია ყამარაული, თანამედროვე ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველება გენდერულ და პარტიულ ჭრილში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8002>

V. Comparative literature studies / შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

Nino Sabadze, *The Problem of the Face of the Dragon in Caucasian and European Mythological-epic texts* 194

ნინო საბაძე, გველეშაპის სახის პრობლემა კავკასიურ და ევროპულ მითოეპიკურ ტექსტებში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8003>

VI. History / ისტორია

Ioseb Schengelia, *On the History of a Castle in Samegrelo (Chakvinji Castle)* 215

იოსებ შენგელია, ერთი ციხესიმაგრის ისტორიისათვის სამეგრელოში (ჭაკვინჯის ციხე)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8004>

Semantical Analyses of Deverbal Functional Elements from a Corpus-linguistic Point of View

Mariam Rukhadze

(Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7999>
mariko.rukhadze@gmail.com || ORCID: [0009-0003-1664-9285](https://orcid.org/0009-0003-1664-9285)

Abstract: The paper focuses on grammaticalisation processes in the Georgian Language and examines functional elements of verbal origin. These elements include $\delta\text{-}\rho\beta\text{-}\delta$ *a-dg-a* (PR-stand-AOR.S.3.SG) meaning “s/he stood up” and indicating an abrupt start of an action”; $\delta\text{-}\sigma\eta\text{-}\sigma$ *a-i-y-o* (PR-SV-take-AOR.S.3) meaning “s/he took something” and signifying an “action without further ado”; $\beta\delta\beta\text{-}\iota$ *čan-s* (be_visible-S.3) meaning “it is visible” and conveying the sense of “it seems”. The study presents the functional and semantic characteristics of these elements. Methods such as lexical substitution and elimination are employed to describe their functions, and a language competency test is used to assess their roles in discourse. The paper aims to provide a quantitative analysis of data obtained from a corpusbased study of these functional elements. Additionally, it offers combinatorial rules to address the issue of homonymy caused by such grammaticalised functional elements in the Georgian national corpus (GNC). The research primarily relies on the Georgian National Corpus (GNC) (<http://gnc.gov.ge/>). Empirical data is collected from the Georgian Reference Corpus (GRC), which encompasses contexts from Old, Middle and Modern Georgian, as well as the subcorpora of political and law texts. The article analyses the contexts provided for the elements under research across eleven TAM categories. Functional elements pose challenges in computer-based language processing, particularly in computer linguistics. Since the Georgian language lacks proper functional processing, the Georgian National Corpus (GNC) provides no algorithm yet to differentiate functional elements from those belonging to paradigmatic classes. This leads to homonymy and unresolved disambiguation issues. The paper aims to address these ambiguities and proposes rules based on the positional distribution scheme of the research elements. The formal rules are illustrated in charts.

Keywords: Grammaticalisation, Georgian Language, Corpus Linguistics

Introduction


Grammaticalisation is a well-known phenomenon in typology. During the process of grammaticalisation, a lexical unit loses its historically developed semantics and, after desemantisation, acquires a specific grammatical function; consequently, we obtain a functional element. The process of grammaticalisation involves a change in the paradigmatic class of the linguistic sign. This change does not occur all at once; it is gradual, which results in the process of grammaticalisation. The paper refers to the process of grammaticalisation in Georgian and represents functional elements of verbal origin, such as $\delta\text{-}\rho\beta\text{-}\delta$: *a-dg-a* (PR-stand-AOR.S.3.SG) meaning “s/he stood up” and indicating an abrupt start of an action”; $\delta\text{-}\sigma\eta\text{-}\sigma$: *a-i-y-o* (PR-SV-take-AOR.S.3) meaning “s/he took something” and signifying an action without further ado”; $\beta\delta\beta\text{-}\iota$: *č an-s* (be_visible-S.3) meaning “it is visible” and conveying the sense of “it seems”.

1. Methods


The research is conducted using the corpus method, primarily relying on the Georgian National Corpus (GNC). Empirical data is collected from Georgian Referential Corpus (GRC). The article analyses the contexts provided for the research items across eleven TAM categories.


According to the corpus study, we distinguished between the cases of using research forms in both lexical and functional senses. We described the positional distribution of functional elements and prepared a statistical analysis of the studied material. We present a comparative analysis of the results in the form of the charts below, which reflect the frequency of use of adverbial functional elements in all TAM by persons.

Scheme 1



Scheme 2





The paper presents the **functional** and **semantic** characteristics of these research items. Methods such as *lexical substitution*, and *elimination* are employed to describe the functions of the items, and a *language competency test* is used to assess their roles in discourse.

2. Analysis

The analysis of the data shows that the linguistic units selected by the informants to replace the form of functional *აღვრძა* [to stand up] should not be determined solely by the semantics of a single word, but rather by the entire sentence. This is quite logical, as in the contexts provided to the informants, the *აღვრძა* functions as an element resulting from grammaticalisation, whose scope extends throughout the entire sentence.

Essentially, the semantics of the *აღვრძა* [to stand up] as a functional element expresses the beginning of an action; however, it does not specify the modality associated with that beginning nor determine the speaker's attitude toward the action conveyed by the verb in the sentence. Instead, as a functional element, *აღვრძა* carries the semantics of the action's initiation, while the specific type of action is identified by the verb or predicate in the sentence.

What about *აღებდა* [to take], regarding the research unit being analysed, the overwhelming majority of informants used the unit "to get up" as a replacement for the original unit. This, in the corresponding form and person, should be considered evidence that "taking" functions as a functional element. Like other functional elements, it conveys the semantics of the beginning of an action in the sentence and belongs to the category of elementary or inchoative expressions.

As for the functional element *ḥḡḃḍ* [*It seems*], the results of the analysis of the linguistic competence test indicate that the primary function of the grammaticalised unit is to reflect the speaker's attitude towards the action conveyed by the sentence, thereby expressing modality.

3. Conclusions

The object of research discussed in the present article is the functional elements obtained as a result of the ongoing grammaticalization process in the living language system.

Corpus research shows that the frequency of use of these functional elements *ḥḡḃḍ*; *ḥḡḃḍ*; *ḥḡḃḍ* is high, and the area of use is wide. Verbal forms of series I, II and III are found as functional elements in singular and plural, and the statistical picture of their positional distribution was presented in the article in the form of charts, which reflected the frequency of use of adverbial functional elements across persons and series.

In the recent paper, we presented the functional-semantic analysis of the research elements, outlined their functions according to the contexts.

The article presents combinatorial rules aimed at solving the homonymy problem related to research elements. The development of the named rules was made possible based on the results of qualitative and quantitative research of empirical material. Each rule is accompanied by a table showing the quantitative indicator.

ნაზმნარი ფუნქციური ელემენტების სემანტიკური ანალიზი კორპუსლინგვისტურ ჭრილში

მარიამ რუხაძე

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7999>

mariko.rukhadze@gmail.com || ORCID: [0009-0003-1664-9285](https://orcid.org/0009-0003-1664-9285)

შესავალი

სტატიაში წარმოდგენილი კვლევის ობიექტია ქართულ ენაში მიმდინარე გრამატიკალიზაციის პროცესი, კერძოდ, მასში განხილულია გრამატიკალიზაციის პროცესის შედეგად მიღებული ნაზმნარი ფუნქციური ელემენტები ქართულში როგორც ფუნქციურ-სემანტიკურ, ისე კორპუსლინგვისტურ ჭრილში. წინამდებარე სტატია წარმოადგენს ამ მიმართულებით ჩვენ მიერ უკვე გამოქვეყნებული სტატიის¹ გაგრძელებას, რომელშიც დაწვრილებით აღიწერა საკითხთან დაკავშირებული თეორიული დებულებები, გრამატიკალიზაციის პროცესის არსი, მისი მიმდინარეობის საფეხურები და ის სირთულეები, რომლებიც უკავშირდება ენობრივ კორპუსში გრამატიკალიზებული ფუნქციური ელემენტების ავტომატურ ანალიზს.

როგორც ზემოხსენებულ სტატიაში აღვნიშნავდით, გრამატიკალიზაცია ლექსიკური ერთეულისათვის პარადიგმატული კლასის ცვლილებას გულისხმობს, იგი უნივერსალური ფენომენია და ენის განვითარების ლოგიკურად თანმხლებ მოვლენად მიიჩნევა. გრამატიკალიზაცია უნდა გავიგოთ, როგორც ევოლუციური პროცესი, რომელშიც ენობრივი სისტემა ივითარებს გრამატიკული მნიშვნელობის სხვადასხვა ფუნქციურ არეს, სემანტიკური ან პრაგმატიკული მნიშვნელობის კოდირებისათვის (Lehmann 20015:8). ნათქვამი რომ შევაჯამოთ, „გრამატიკალიზაცია გულისხმობს დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულების ცვლილებას, მათი ლექსიკური მნიშვნელობის დაკარგვას, ანუ დესემანტიზაციას და ამ ფორმების გრამატიკული ფუნქციის მატარებელ ფორმებად, ანუ ფუნქციურ ელემენტებად გარდაქმნას“ (Hopper 1996:217).

¹ იხ. მარიამ რუხაძე, გრამატიკალიზებული ადგა ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი, მილენიუმი, ტომი I, 2023 წ., გვ. 71-87. <https://adh.ge/wp-content/uploads/2023/04/4-Rukhadze-Millennium-2023.pdf>, DOI: <https://doi.org/10.62235/mln.1.2023.7251>.

გრამატიკალიზაცია დროში განფენილი პროცესია და ეტაპობრივად მიმდინარეობს. გრამატიკალიზაციის პროცესის მიმდინარეობისას, დროის გარკვეულ შუალედში, ენობრივი ერთეულები გრამატიკალიზაციის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება (თანდაშვილი 2016:194). გრამატიკალიზაციის პირველ ეტაპზე ლექსიკური ელემენტი კარგავს სემანტიკას, შემდგომ ეტაპზე იზრდება და ფართოვდება მისი მოხმარების არეალი, ანუ მატულობს მისი გამოყენების სიხშირე (ექსტენცია), მესამე ეტაპზე კარგავს გრამატიკულ ნიშნებს - ფორმაცვალებადი (ბრუნებადი, უღლებადი) სიტყვიდან ნელ-ნელა ყალიბდება ფორმაუცვლელ სიტყვად, გრამატიკალიზაციის ბოლო ეტაპზე კი განიცდის ცვეთას (ეროზიას) და იქცევა კლიტიკად (თანდაშვილი 2016:194).

გრამატიკალიზაციის პროცესის შედეგად მიღებული ფუნქციური ელემენტები განსაკუთრებულ სირთულეებს წარმოქმნიან ტექსტის დიგიტალური მეთოდებით დამუშავებისას, კერძოდ კი ავტომატური ანალიზის პროცესში. ავტომატური ანალიზი ენობრივი ანალიზატორის საშუალებით ხორციელდება. ანალიზატორის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭიროა, რომ ანალიზის პროგრამამ ავტომატურად ამოიცნოს ენობრივ ბაზაში არსებული ყოველი ცალკეული ტოკენი და შეძლოს მათი სწორად კვალიფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ეროვნული კორპუსი ანოტირებული კორპუსია (იგი აღჭურვილია მორფოსინტაქსური ანალიზატორით), ანალიზატორს არ გააჩნია ალგორითმი, რომელიც გრამატიკალიზებული ფუნქციური ელემენტების გამიჯვნას შეძლებს. შედეგად, კორპუსში წარმოიქმნება ომონიმის პრობლემა და რთულდება ორაზროვნების მოხსნის შესაძლებლობა.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ნაზმნარი ფუნქციური ელემენტების ფუნქციურ-სემანტიკური კვლევის შედეგად მიღებული მახასიათებლების აღწერას, მათი სემანტიკური ნიშნების განსაზღვრას და კორპუსული კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ ანალიზზე დაყრდნობით შემუშავებული ფორმალური წესების შეთავაზებას დაინტერესებული მკვლევრებისთვის.

თანამედროვე ქართულ ენაში ზმნური წარმოშობის არა ერთი ფუნქციური ელემენტი დასტურდება, რომელთა ჩამონათვალს წარმოვადგენთ ტაბულის სახით.

გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი ნაზმნარი ფუნქციური ერთეულები	
ადგა	<i>ადგა და გახეთში ვეებერთელა სტატია გამოაცხო სულისშემძვრელი სა- თაურით.</i>
აიღო	<i>შეიძლება ნაწილობრივი რესტავრაცია, მაგრამ ასე, აიღო და შენობას უცბად გუმბათი დაადგა, ასეთი პრაქტიკა მიუღებელია.</i>
ჩანს	<i>ჩანს, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად.</i>
მიდი	<i>პოდა, მიდი და იფიქრე, შენ ვინ გამოდიხარ - თქვა ტოლსტოიმ.</i>
მოდი	<i>ღმერთო ჩემო! მოდი და ნუ გაიცინებ!</i>
ეტყობა	<i>ეტყობა, ბარმენს შევეცოდე, მოვიდა და მითხრა - ძალიან ვწუხვარ თქვენი მეგობრის გამო.</i>
ნახე	<i>გასაღებების ასხმულაზე შებმული ჯაყვა გახსნა ამირანამ, ნახე, ნახე, ხმას ვერ იღებს.</i>
უყურე	<i>უყურე, ხმაურობა თანდათან ახლოვდება, თითქოს აქეთ მოდიანო.</i>
შეხედე	<i>იქით! ახლო არ მომეკარო! შეხედე, შეხედე ამ გარყვნილს!</i>

წარმოდგენილი ზმნური ფორმები თანამედროვე ქართულ ენაში გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი ერთეულებია, რაც იმას გულისხმობს, რომ მათი გრამატიკალიზაციის პროცესი დასრულებული არ არის, ისინი გამოიყენება როგორც ლექსიკური, ისე ფუნქციური მნიშვნელობით.

ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციური ელემენტებიდან სტატიაში წარმოვადგენთ სამ, განსხვავებული მორფო-სინტაქსური ნიშნების მქონე, ნაზმნარ ფუნქციურ ელემენტს, ესენია: *ადგობა*; *ადგა*, *ჩენა* საწყისთა შესაბამისი ზმნური ფორმები, რომელთა ზეპირმეტყველებაში გამოყენების სიხშირე განსაკუთრებით მაღალია და შესაბამისად, ფუნქციური თვალსაზრისით მათი კვლევა მეტად ღირებულია.

1. კვლევის მეთოდოლოგია

სტატიაში წარმოდგენილი კვლევა კორპუსულ მეთოდს ეფუძნება და ქართული ენის ეროვნული კორპუსის (GNC) ბაზაზე განხორციელდა. საკვლევი მასალა შეკრებილია ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში (GRC), რომე-

ლიც, თავის მხრივ, აერთიანებს ძველი, საშუალო და ახალი ქართულის, ქართული დიალექტური ქვეკორპუსების მონაცემებს, ასევე ქართული პოლიტიკური კორპუსისა და იურიდიული კორპუსის ტექსტებს. აღსანიშნავია, რომ ქართული პოლიტიკური ტექსტების ქვეკორპუსში შემავალი მასალის უმრავლესობა ზეპირმეტყველების გატექსტებულ ვარიანტს წარმოადგენს, რაც შესაძლებელს ხდის არა მხოლოდ წერილობითი, არამედ გატექსტებული ზეპირმეტყველების მონაცემების ჩართვას კვლევის პროცესში. ემპირიულ მასალად აღებულია ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში (GRC) - ტოკენებისთვის *ადგობა; ალება; ჩენა* - წარმოდგენილი I, II და III პირის მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში, თერთმეტივე მწკრივში.

სიტყვაფორმათა ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნების განსაზღვრისას სტატიაში ვეყრდნობოდით **ლინგვისტური კომპეტენციის ტესტს**. ტესტი შემდგენაირად განხორციელდა: ცდისათვის შეირჩა 10 ცდისპირი, მათ მივაწოდეთ წინადადებათა სია და ინსტრუქცია, შეეცვალათ წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვით და ისე გადაეწერათ წინადადება, რომ არ შეცვლილიყო წინადადებით გადმოცემული აზრი.

შერჩეული ელემენტების ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნების კვლევისას ლინგვისტური კომპეტენციის ტესტი მეტად ღირებულ შედეგს გვაძლევს. ენობრივი ერთეული ცოცხალ საკომუნიკაციო პროცესში ივითარებს და ასრულებს კონკრეტულ ფუნქციას, ეს ფუნქცია კი გრამატიკალიზაციის პროცესის ადრეულ საფეხურზე შესაძლოა განსხვავდებოდეს მოლაპარაკეთა მიხედვით, აქედან გამომდინარე, იმის დადგენა, თუ რა სემანტიკას, რა ფუნქციას უკავშირებს საკვლევ ერთეულებს სხვადასხვა ცდისპირი, გვეხმარება, გამოვკვეთოთ და განვსაზღვროთ მათი ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები, ჯგუფები და ქვეჯგუფები.

სტატიაში მოცემული ფორმალური წესების შემუშავებისას ვეყრდნობოდით საკვლევ ელემენტთა პოზიციურ ანალიზს, მათი პოზიციური განაწილების სქემას, რომელიც ემპირიული მასალის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი ანალიზის შედეგად მივიღეთ.


2. სტატისტიკური ანალიზი

შერჩეულ ელემენტთა კვლევის პირველ საფეხურზე ერთმანეთისაგან გავმიჯნეთ საკვლევ ფორმათა ლექსიკური და ფუნქციური მნიშვნელობით გამოყენების


შემთხვევები, აღვწერეთ ფუნქციურ ელემენტთა პოზიციური განაწილების საკითხი და მოვამზადეთ შესწავლილი მასალის სტატისტიკური ანალიზი.


მიღებული შედეგების შეპირისპირებით ანალიზს წარმოვადგენთ ქვემოთ მოცემული სქემების სახით, რომლებიც ასახავს, ქართული ენის ეროვნულ კორპუსში მოცემულ მასალაში, სერიებსა და მწკრივებში ნაზმნარ ფუნქციურ ელემენტთა გამოყენების სიხშირეს პირთა მიხედვით.

სქემა 1



სქემა 2





3. გრამატიკალიზებული ელემენტების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი

სტატიაში განხილული ფუნქციური ელემენტების სემანტიკური ნიშნების გამოსარკვევად გამოვიყენეთ ლინგვისტური კომპეტენციის ტესტი. იმისათვის, რომ ტესტს სრულფასოვანი და რელევანტური სურათი ეჩვენებინა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინფორმანტებისთვის მისაწოდებელ წინადადებათა შერჩევის კრიტერიუმები. კორპუსული კვლევა აჩვენებს, რომ საკვლევი ერთეულები ფუნქციური სახით სხვადასხვა პოზიციაში გხვდება, წინადადების საწყის, შუა და აბსოლიტურ ბოლო პოზიციებში, ამასთანავე, საკვლევი ფუნქციური ელემენტები შინაარსობრივად განსხვავებულ წინადადებებშია წარმოდგენილი. შესაბამისად ამისა, წინადადებათა შერჩევისას გავითვალისწინეთ როგორც ერთეულთა პოზიციები, ისე მიწოდებულ წინადადებათა სემანტიკური მრავალფეროვნება.

სტატიის ფორმატი შესაძლებლობას არ გვაძლევს სქემატურად წარმოვადგინოთ ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის შედეგად მიღებული პირველადი მონაცემები, ამიტომ წინამდებარე პარაგრაფში წარმოვადგენთ მიღებული მონაცემების ანალიზს და მასზე დაყრდნობით განვიხილავთ საკვლევი ერთეულთა ფუნქციურ-სემანტიკურ ნიშნებს. პირველ რიგში, წარმოვადგენთ ადგობა და აღება ფუნქციური ელემენტების სემანტიკურ ანალიზს.

ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის მონაწილე ცდისპირები ფუნქციური ადგომა ფორმის ჩასანაცვლებლად სხვადასხვა ენობრივ ერთეულს იყენებენ, მაგალითად:

1) ჩვენი პატივცემული ჟურნალისტი კი ადგა ეველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.

vs.

(1a) ჩვენმა პატივცემულმა ჟურნალისტმა კი აიღო ეველაფერი მისხალ-მისხალ ჩაიწერა და დაბეჭდა.

2) ო, რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი! ადგა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტეხა, მთლად ასეც არ ყოფილა საქმე.

vs.

(2a) ო, რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი! მიღვა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტეხა, ასეც არ ყოფილა საქმე!

მონაცემების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ფუნქციური ადგომა ფორმის ჩასანაცვლებლად ინფორმანტთა მიერ შერჩეული ენობრივი ერთეულები არა ცალკეული სიტყვის, არამედ მთლიანი წინადადების სემანტიკით უნდა იყოს განპირობებული, რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან ინფორმანტათვის მიწოდებულ კონტექსტებში ადგა გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებული ფუნქციური ელემენტია, რომლის მოქმედების არეალიც მთელი წინადადების ფარგლებში ვრცელდება. არსებითად, ადგას, როგორც ფუნქციური ელემენტის, სემანტიკა მოქმედების დასაწყისის გამოხატვაა, იგი არ აკონკრეტებს მოქმედების დასაწყისთან დაკავშირებულ მოდალობას, არ განსაზღვრავს მოქმედების დასაწყისს წინადადებაში ზმნით გადმოცემული მოქმედებისადმი. ადგა, როგორც ფუნქციური ელემენტი, წინადადებაში მოქმედების დასაწყისის სემანტიკის მატარებელია, ხოლო იმას, თუ რა სახისაა მოქმედება, წინადადებაში მოცემული ზმნა ანუ პრედიკატი აზუსტებს.

ვფიქრობთ, ფუნქციური ადგა ამ თვალსაზრისით უკავშირდება ადგომა ზმნური ფორმისთვის მახასიათებელ ინხოატივის ანუ დაწყებითობის კატეგორიას, რაც სავსებით ლოგიკურია. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, ინხოატივი არის ზმნური პრედიკატის ისეთი სემანტიკური მახასიათებელი, რომელიც გადმოგვცემს ამა თუ იმ მოქმედების დაწყებითობას (შაბაშვილი 2018:41). ინხოატივის შესახებ ქართულში ვრცელი გამოკვლევა ეკუთვნის ბესარიონ ჯორბენაძეს. ავტორი მიმოიხილავს ინხოატივის წარმოების როგორც მორფოლოგიურ საშუალებებს, ისე აღწერითი წარმოების ინხოატივის საკითხს

ქართულში. ინხოლაციის სემანტიკური სტრუქტურის განხილვისას იგი მიუთითებს, რომ „ინხოლაციის სემანტიკური სტრუქტურა ორი კომპონენტისგან შედგება; ესენია: „დაწყება + „გარკვეული მოქმედება (მდგომარეობა)“ (ჯორბენაძე 1989:177). ვფიქრობთ, ადგომა, როგორც მოქმედების გამომხატველი, მასტიმულირებელი ზმნა, ფუნქციურ ელემენტად ქცევის შემდეგაც ინარჩუნებს კავშირს მის პირვანდელ, ზმნურ მახასიათებლებთან და ფუნქციურ ელემენტად ქცეული მოქმედების დასაწყისის სემანტიკას გადმოსცემს.

ინფორმანტათვის მისაწოდებელ წინადადებათა შერჩევისას იმთავითვე საინტერესოდ მიიჩნეოდა მიმდევრობა *ადგომა + კავშირი* და კვლევის საწყის ეტაპზევე ცხადი იყო, რომ ფუნქციური ელემენტის სახით ყველაზე ხშირად *ადგომა* სწორედ ამ მიმდევრობაში გამოიყენება. კორპუსულმა კვლევამ დაადასტურა, რომ *ადგომა + კავშირი* და მყარი სიტყვათშეთანხმებაა და კორპუსში მოცემულ კონტექსტთა უმეტესობაში იგი ფუნქციურ მნიშვნელობას გადმოსცემს.

- 3) *ადექი და ყველაფერი გულახდილად მოუყევი რომელიმე სურას.*
- 4) *ჩემი და ადგა და ვიღაც მდიდარს გაჰყვა ცოლად.*
- 5) *ისე, ახი არ იქნება, რო ადგე და ეს სახლი მართლა გაყვიდო?*
- 6) *თუ მაინცდამაინც გიუღება ქართულ ღვინოზე, ადგეს და მეტი გადაიხადოსო.*
- 7) *შენ კი ამდგარხარ და, საქმე ცუდად გამიჩნიაო და, მეხუთედ უჩივი მოსამართლე ქალბატონს!*
- 8) *ახალგაზრდა ხარ, ჯან-ღონით სავსე, ამდგარიყავი და გემუშავა!*

რაც შეეხება *ადება* საკვლევ ერთეულს, ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის ფარგლებში ცდისპირებს მიეწოდათ წინადადებათა სია, რომელიც *ადება* ფუნქციური ელემენტის სხვადასხვა მწკრივისა და პირის ფორმებს აერთიანებდა.

კორპუსული კვლევა აჩვენებს, რომ ქართული ენის ეროვნულ კორპუსში მოცემულ კონტექსტებში *ადება* ერთეული ფუნქციური მნიშვნელობით გვხვდება მხოლოდ *ადება + კავშირი* და მიმდევრობაში, განსხვავებით *ადგომა* ერთეულისგან, რომელიც მართალია, ფუნქციური ელემენტის სახით ყველაზე ხშირად სწორედ *და კავშირთან* მეზობლობაში გვხვდება, მაგრამ ფუნქციური მნიშვნელობით იგი დამოუკიდებლად მდგომიც გამოიყენება.

საყურადღებოა, რომ ცდისპირთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ალება ერთეულის ჩასანაცვლებლად ადგომა ერთეული გამოიყენა, შესაბამისი მწკრივისა და პირის ფორმით, რაც იმის დასტურად უნდა მივიჩნიოთ, რომ ალება ფუნქციური ელემენტი, ადგომა ფუნქციური ელემენტის მსგავსად, წინადადებაში მოქმედების დასაწყისის სემანტიკის მატარებელია და დაწყებითობის, ანუ ინხოატივის კატეგორიის, გამოსატვის ფუნქციას ასრულებს. სანიმუშოდ წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

9) მაკარტისაც აუღია და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!

10) მაკარტიც ამდგარა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!

11) 5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს აიღო და მოკლა პატრონი.

12) 5 წლის განმავლობაში ეძახდნენ კუზიანს, ბოლოს ადგა და მოკლა პატრონი.

გამონაკლისის სახით გვაქვს ერთი ცდისპირის მიერ ალება ერთეულის ჩასანაცვლებლად *მისვლა* ერთეულის გამოყენების შემთხვევები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში:

13) ან ვაკელები მონახე, ვინც სცემეს, ან აიღე და თქვი, რომ ჩვენ საყვარლები ვიყავითო.

14) ან ვაკელები მონახე, ვინც სცემეს, ან მიდი და თქვი, რომ ჩვენ საყვარლები ვიყავითო.

15) მისი გარემოცვის წარმომადგენლები, რომლებიც, პირდაპირ რომ ვთქვათ, იღუბენ და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.

16) მისი გარემოცვის წარმომადგენლები, რომლებიც, პირდაპირ რომ ვთქვათ, მიდიან და ანადგურებენ სხვის ბიზნესს.

17) მაკარტისაც აუღია და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!

18) მაკარტისაც მისვლა და პირდაპირ კანისთვის დაურეკია!

მისვლა, ისე როგორც ალება და ადგომა ერთეულები, თანამედროვე ქართულ ენაში გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი ფუნქციური ელემენტია და მისი, როგორც ჩამნაცვლებელი ერთეულის გამოყენება, სავსებით ლოგიკურია და სავარაუდებელი.

რაც შეეხება *ჩანს* ფუნქციურ ელემენტს, ლინგვისტური კომპეტენციის ტესტის ანალიზის შედეგები გვაჩვენებს, რომ გრამატიკალიზებული *ჩანს* ერთე-

ულის უმთავრესი ფუნქცია არის მთქმელის დამოკიდებულების ჩვენება წინადადებით გადმოცემული მოქმედებისადმი, ანუ მოდალობის გამოხატვა. ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ „ნაზმნარი ფორმების გამოყენება მოდალური ელემენტების დანიშნულებით ქართულში არაიშვიათი მოვლენაა. ზმნურ ფორმათა და შესიტყვებათა ქცევა ნაწილაკად, კავშირად, შორისდებულად შესაძლებელია თვით ამ ზმნათა ამოსავალი სემანტიკისა და სინტაქსური კონსტრუქციის თავისებურების საფუძველზე. როდესაც ზმნური ფორმები კარგავენ ზმნურ ნიშნებს და მოდალურ ელემენტებად იქცევიან, ისინი განსხვავდებიან ამოსავალი პირიანი ზმნებისგან სინტაქსური და მორფოლოგიური თავისებურებებით, ხშირად კი ფონეტიკური ცვლის შედეგად - ფორმითაც (ჭუმბურიძე 2016:154).

რაც შეეხება მოდალობას, მოდალობა უნივერსალური კატეგორიაა და მისი გამოხატვა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა საშუალებით ხდება. მოდალობის კატეგორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი, პალმერი, მოდალობას გრამატიკულ-სემანტიკურ კატეგორიად მიიჩნევს და ხაზს უსვამს ერთი და იმავე ფორმით სხვადასხვა მოდალობის გადმოცემის შესაძლებლობას, რასაც წინადადება, ტექსტი ან დისკურსიც კი შეიძლება განაპირობებდეს (პალმერი 1990: 1). ერთმანეთისგან განარჩევენ ეპისტემურ და დეონტურ მოდალობებს. ეპისტემური მოდალობა მთქმელის ცოდნასა და რწმენას გამოხატავს, დეონტური მოდალობა კი გულისხმობს შინაარსს, რომელშიც სუბიექტი ასრულებს მოქმედებას და ეს მოქმედება განპირობებულია მოლაპარაკის სურვილით ან სხვა სპეციფიკური მოთხოვნით.

ლინგვისტური კომპეტენციის ტესტში გამოყენებული ჩამნაცვლებელი ერთეულების შესწავლის შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ *ჩანს* გრამატიკალიზებულ ფუნქციურ ელემენტთან დაკავშირებული მოდალობები უეჭველობის/ ვარაუდის სემანტიკურ ჯგუფში ერთიანდება, რაც, თავის მხრივ, ეპისტემური მოდალობის ქვეკატეგორიას წარმოადგენს².

3. ნაზმნარი ფუნქციური ელემენტები კორპუსლინგვისტურ ტრიალში

ენობრივ კორპუსში ნაზმნარი ფუნქციური ელემენტების ავტომატური ანალიზისას ომონიმის პრობლემას ვაწყდებით, ვინაიდან ერთი და იგივე ენობრივი ფორმა ორ სხვადასხვაგვარ მნიშვნელობას, ლექსიკურსა და ფუნქციურს, გადმოსცემს, ფორმოებრივად კი მათი განსხვავება არ ხდება, წარმოიქმნება

² *ჩანს* ფუნქციური ერთეულის მოდალობის განსაზღვრისას სტატიაში ვეყრდნობით მინდტის მიერ შემოთავაზებულ მოდალობების ჩამონათვალს.

ორაზროვნების საკითხი. ავტომატური ანალიზისას ანალიზატორის პროგრამა ფუნქციურ ელემენტებს ზმნის მარკერს ანიჭებს, შედეგად იკარგება ინფორმაცია ელემენტთა ფუნქციური მნიშვნელობის შესახებ და კორპუსის მომხმარებლებს არასრული ლინგვისტური ანალიზი მიეწოდებათ.

შესავალშივე აღვნიშნეთ, რომ წინამდებარე სტატია გაგრძელებაა ჩვენ მიერ უკვე გამოქვეყნებული სტატიისა,³ რომელშიც დაწვრილებით აღიწერა საკითხთან დაკავშირებული თეორიული დებულებები, გრამატიკალიზაციის პროცესის არსი, მისი მიმდინარეობის საფეხურები და ამასთანავე, ფუნქციური ელემენტებით განპირობებული ომონიმის საკითხი კორპუსლინგვისტიკაში.

მოცემულ სტატიაში წარმოვადგენთ იმ ფორმალურ წესებს, რომლებიც ემპირიული მასალის კორპუსული კვლევისას მივიღეთ და ვფიქრობთ, რომ მათი გამოყენება შეამცირებს კორპუსში ფუნქციურ ელემენტებთან დაკავშირებული ორაზროვნების პრობლემას. ვინაიდან კომპიუტერული ანალიზატორის პროგრამა მნიშვნელობათა წაკითხვის შესაძლებლობას მოკლებულია, პრობლემის რელევანტურ გადაწყვეტად ფორმალური წესების შემუშავება მივიჩნით. ფორმალური წესების შემუშავებისას ვეყრდნობოდით საკვლევ ელემენტთა პოზიციურ ანალიზს, მათი პოზიციური განაწილების სქემას, რომელიც ემპირიული მასალის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი ანალიზის შედეგად არის მიღებული.

სტატიის ფორმატში სამივე საკვლევ ერთეულისთვის ადგომა; ადება; ჩენა შემუშავებული ფორმალური წესების წარმოდგენა ვერ ხერხდება, ამიტომ სანიმუშოდ წარმოვადგენთ ჩენა ფუნქციური ელემენტისთვის შემუშავებულ ფორმალურ წესებს.

ჩენა ფუნქციური ელემენტი გვხვდება I სერიის აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივებში და II სერიის წყვეტილის მწკრივში. ჩენა ფუნქციური ელემენტისთვის შემუშავებულ კომბინატორულ წესებსა და რაოდენობრივ მაჩვენებელს წარმოვადგენთ ქვემოთ მოცემული წესებისა და ტაბულების სახით.

- I სერია – აწმყოს მწკრივი

წესი I. ჩანს ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, როცა იგი წინადადების ინიციალურ პოზიციაშია და მისი მარჯვენა კოოკურენტია მძიმე: ჩანს,

³ მარიამ რუხაძე, გრამატიკალიზებული ადგა ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი, მილენიუმი, ტომი I, 2023 წ., გვ. 71-87. <https://adh.ge/wp-content/uploads/2023/04/4-Rukhadze-Millennium-2023.pdf>

ტაბულა 1

აწმყოს მწკრივი	
კონტექსტების რაოდენობა	134
ფუნქციური ელემენტი	134
ზმნა-შემასმენელი	0

წესი II. ჩანს ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, როცა მისი მარჯვენა და მარცხენა კოლოკურენტებია მიძიმები: , ჩანს,

ტაბულა 2

აწმყოს მწკრივი	
კონტექსტების რაოდენობა	1193
ფუნქციური ელემენტი	1193
ზმნა-შემასმენელი	0

წესი III. ჩანს ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი როცა მას წინ უსწრებს ტოკენი რფორტ: *რფორტ ჩანს* და

- 1) მისი მარცხენა კოლოკურენტია წერტილი, ხოლო მარჯვენა კოლოკურენტი - მიძიმე.
- 2) ან/და მისი მარცხენა კოლოკურენტია მიძიმე, მარჯვენა კი - წერტილი.
- 3) ან/და მისი მარჯვენა და მარცხენა კოლოკურენტებია მიძიმე.

ტაბულა 3

აწმყოს მწკრივი	
კონტექსტების რაოდენობა	30627
ფუნქციური ელემენტი	30627
ზმნა-შემასმენელი	0

- უწყვეტლის მწკრივი

წესი IV. ჩანდა ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, როცა მისი მარჯვენა და მარცხენა კოლოკურენტებია მიძიმე: , ჩანდა,

ტაბულა 4

უწყვეტლის მწკრივი	
კონტექსტების რაოდენობა	90
ფუნქციური ელემენტი	78
ზმნა-შემასმენელი	12

წესი V. ჩანდა ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, როცა იგი წინადადების ინიციალურ პოზიციაშია და მისი მარჯვენა კოლოკურენტია მიძიმე: . ჩანდა,

ტაბულა 5

უწყვეტლის მწკრივი	
კონტექსტების რაოდენობა	126
ფუნქციური ელემენტი	111
ზმნა-შემასმენელი	17

წესი VI. ჩანდა ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, როცა იგი წინა-დადების ბოლო პოზიციაშია და მისი მარცხენა კოლოკანტია მძიმე, ჩანდა.

ტაბულა 6

უწყვეტლის მწკრივი	
კონტექსტების რაოდენობა	3
ფუნქციური ელემენტი	3
ზმნა-შემასმენელი	0

წესი VII. ჩანდა ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, როცა მას წინ უსწრებს ტოკენი როგორც: როგორც ჩანდა და:

- 1) მისი მარცხენა კოკურენტია წერტილი, ხოლო მარჯვენა კოკურენტი - მძიმე.
- 2) ან/და მისი მარცხენა კოკურენტია მძიმე, მარჯვენა კი - წერტილი.
- 3) ან/და მისი მარჯვენა და მარცხენა კოკურენტებია მძიმე.

ტაბულა 7

უწყვეტლის მწკრივი	
კონტექსტების რაოდენობა	209
ფუნქციური ელემენტი	206
ზმნა-შემასმენელი	3

- II სერია – წყვეტილის მწკრივი

წესი VIII. გამოჩნდა ტოკენს მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი, როცა მას წინ უსწრებს ტოკენი როგორც: როგორც გამოჩნდა და:

- 1) მისი მარცხენა კოკურენტია წერტილი, ხოლო მარჯვენა კოკურენტი - მძიმე.
- 2) ან/და მისი მარცხენა კოკურენტია მძიმე, მარჯვენა კი - წერტილი.
- 3) ან/და მისი მარჯვენა და მარცხენა კოკურენტებია მძიმე.

ტაბულა 8

წყვეტილის მწკრივი	
კონტექსტების რაოდენობა	178
ფუნქციური ელემენტი	169
ზმნა-შემასმენელი	9

4. შეჯამება და დასკვნითი დებულებები

სტატიაში განხილული კვლევის ობიექტს ცოცხალ ენობრივ სისტემაში მიმდინარე გრამატიკალიზაციის პროცესის შედეგად მიღებული ნაზმნარი ფუნქციური ელემენტები, კერძოდ, *ადგომა*, *აღება* და *ჩენა* საწყისთა შესაბამისი ზმნური ფორმები წარმოადგენდა.

კორპუსული კვლევა გვაჩვენებს, რომ დასახელებული ნაზმნარი ფუნქციური ელემენტების გამოყენების სიხშირე მაღალია, გამოყენების არეალი კი ფართო. ფუნქციური ელემენტის სახით გვხვდება როგორც I, ისე II და III სერიის ზმნური ფორმები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში, მათი პოზიციური განაწილების სტატისტიკური სურათი სტატიაში წარმოვადგინეთ სქემების სახით, რომლებშიც აისახა სერიებსა და მწკრივებში ნაზმნარ ფუნქციურ ელემენტთა გამოყენების სიხშირე პირთა მიხედვით.

სტატიაში წარმოვადგინეთ საკვლევ ელემენტთა სემანტიკური ანალიზი, ანალიზისას ვყვრდნობოდით ლინგვისტური კომპეტენციის ტესტს. ტესტი გვაჩვენებს, რომ ერთმანეთისგან განსხვავდება საკვლევ ელემენტთა ფუნქციური მნიშვნელობები. *ადგომა*, *აღება* ელემენტის ფუნქციური მნიშვნელობა მოქმედების დასაწყისის სემანტიკის გადმოცემაა და ამით იგი ინხოატივის კატეგორიას უკავშირდება, ხოლო *ჩენა* ფუნქციური ელემენტის შემთხვევაში მის მნიშვნელობად ეპისტემური მოდალობის, კერძოდ კი, უჭკველობა/ვარაუდის სემანტიკის გადმოცემა განისაზღვრა.

სტატიაში ასევე მოცემულია კომბინატორული წესები, რომლებიც საკვლევ ელემენტებთან დაკავშირებული ომონიმის პრობლემის გადაჭრას ისახავს მიზნად ქართული ენის ეროვნულ კორპუსში. დასახელებული წესების შემუშავება შესაძლებელი გახდა ემპირიული მასალის თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, თითოეულ წესს თან ახლავს რაოდენობრივი მაჩვენებლის ამსახველი ტაბულა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **თანდაშივილი 2016:** მ. თანდაშივილი, ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძვლები, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.
2. **რუხაძე 2023ა:** მ. რუხაძე, გრამატიკალიზებული ადგა ფორმის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი, მილენიუმი, ტომი I, 96-108.
DOI: <https://doi.org/10.62235/mln.1.2023.7251>
<https://adh.ge/wp-content/uploads/2023/04/4-Rukhadze-Millennium-2023.pdf>
3. **რუხაძე 2023ბ:** მ. რუხაძე, გრამატიკალიზებული ჩანს ელემენტი და მასთან დაკავშირებული სირთულეები კორპუსლინგვისტიკაში, სპეკალი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, მე-17 ნომერი, თბილისი.
<https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/17/301>
4. **შაბაშივილი 2018:** გ. შაბაშივილი, ქართული ზმნის სემანტიკური მახასიათებლები, გამომცემლობა „საიმედო“, თბილისი.
5. **შარაშენიძე 2020:** ნ. შარაშენიძე, მოდალობის კატეგორია ქართულში, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი.
6. **ჭუმბურიძე 2016:** ნ. ჭუმბურიძე, ზმნის მნიშვნელობის („ზმნურობის“) დაკარგვის შემთხვევები; ზმნის გადაქცევა ნაწილაკად, კავშირად, მოდალურ ელემენტად, ახალი ქართული ენა, წიგნი II, თსუ გამომცემლობა, თბილისი, გვ. 149 – 155.
7. **ჯორბენაძე 1989:** ბ. ჯორბენაძე, ინსოატივი ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXVIII, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, გვ. 172-186.
8. **Hopper, Traugott 2003:** Hopper P.J. Traugott E.C., Grammaticalization; Cambridge University Press, Second edition.
9. **Lehman 2015:** Lehman Ch., Thoughts on grammaticalization, Second edition, Seminar für Sprachwissenschaft der Universität, Erfurt.
10. **Palmer 1990:** Palmer F. R., Modality and the English Modals, Second Edition, University of California.